სსდ გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის
დეპარტამენტი

ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

02/05/2024

DES 0 24 00000185

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ რეგულირების ობიექტების გეგმიურ შემოწმებათა 2024 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №26 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების" მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 02 მაისის №3437/01 წერილის და დეპარტამენტის ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელის 2024 წლის 02 მაისის №DES 7 24 00030567 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ რეგულირების ობიექტების გეგმიურ შემოწმებათა 2024 წლის გეგმა“.

2. დაევალოს დეპარტამენტის ადმინისტრაციას, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ვებგვერდზე განთავსება.

3. ეს ბრძანება დაეგზავნოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილეებს, დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის პირველად სტრუქტურულ ერთეულებსა და დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებს (სამმართველოებს).

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6).

ლევან ჯღარკავა
დეპარტამენტის უფროსი